პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975 შაბათი 27 სექტემბერი № 227 (16353) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

მშენებელთა გამარჯვება

ქალაქ ამურის კომსომოლსკთან მდინარე ამურზე — რკინიგზის დიდი გადასასვლელის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

მხურვალედ გილოცავთ მდინარე ამურზე დიდი გადასასვლელის — ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უნიკალური სატრანსპორტო ნაგებობის, ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დიამნიშვნელოვანი შემადგენელი რგოლის — მშენებლობის ვადამდე დამთავრებას.

ეს წარმატება მიღწეულია თქვენი გმირული შრომის, შემოქმედებითი ძიების, პროგრესული ტექნიკური გადაწყვეტებისა და მშენებლობის ახალი მეთოდების დანერგვის მეოხებით. მოპოვებული გამარჯვება შესაძლებელი გახდა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად.

ახალ ხიდზე მოძრაობის გახსნას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, იგი უზრუნველყოფს კიდევ ერთ სატრანსპორტო გასასვლელს წყნარი ოკეანის სანაპიროზე. საბჭოთა მეცნიერება მოგვცემს მნიშვნელოვან გამოცდილებას ამურის-კომსომოლსკ-ვანინოს მაგისტრალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რკინიგზის მაგისტრალურ-ტექნიკური ნაგებობების, რომ პარტიის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების დაჩქარებულ განვითარებას, წარმატებით ხორციელდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თქვენ კვლავაც გულმოდგინედ იშრომებთ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებით სკკპ XXV ყრილობას.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

425.000 ტონა ყურძენისათვის!

სანიორეთა ზვრების ბარაქა

თელავი. (საკ. კორ.). დიდი რთველი ჰქონდა წელს სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობას“ (თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილი) რთველის მასობრივად დაწყების პირველი დღეებიდანვე სანიორელები გრაფიკით კრეფდნენ ყურძენს და ნაცვლად გათვალისწინებული 18 სექტემბრისა 16 სექტემბერს დამთავრეს ეს სამუშაო.

სანიორელებს გეგმით ჰექტარზე საშუალოდ 65 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ვალდებულებით — 76 ცენტნერი, ფაქტიურად 90 ცენტნერი მიიღეს. სულ კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ 3.500 და ვალდებულებით ნაკისრი 4.100 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 4.937 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ეხვი მოსავლის მოყვანაში ყველას აჯობა პირველმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ალ. ათავაზაშვილი). იქ ჰექტარზე საშუალოდ გეგმა-ვალდებულებით 80 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 117 ცენტნერი მიიღეს და გეგმის გადამეტებით 1.670 ცენტნერი ყურძენი შეიტანეს კოლმეურნეობის საერთო ფონდში.

ყურძნის კრეფაში 120 კომკავშირელი ქალიშვილი და ჭაბუკი იღებდა მონაწილეობას.

სულ რამდენი მოიკრიფა

(26 სექტემბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	79.765
თელავი	45.000	42.298
ყვარელი	29.000	24.109
სიღნაღი	24.485	30.328
ახმეტა	23.000	24.288
საგარეჯო	20.000	12.819
წითელწყაროო	19.000	16.187
ლაგოდეხი	5.500	6.466
მარნეული	15.860	12.943
გარდაბანი	9.200	5.189
მცხეთა	10.000	4.844
გოლნისი	8.725	5.966
ზესტაფონი	26.850	1.324
თერჯოლა	18.100	3.287
მაიაკოვსკი	14.300	600
საჩხერე	5.450	1,258
ორჯონიკიძე	5.350	219
კასპი	9.350	626
ვანი	14.500	115
ჩოხატაური	2.020	284
აფხაზეთის ასსრ	7.920	1.422
სულ მოკრეფილია		276.673

პირადი წვლილი

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფელ გავაზში მცხოვრებმა ამირან პაკაცოშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 10 ტონა და 500 კილოგრამი ყურძენი, რაშიაც მიიღო 7.452 მანეთი. ამავე სოფელში მცხოვრებმა გიორგი ბერიაშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 4.350 მანეთის ღირებულების 8 ტონა ყურძენი.

ჯიმშერ ხუციშვილმა ღვინის ქარხანას მიუწონა 5 ტონა ყურძენი და 2.870 მანეთი მიიღო. ნიკოლა ვარადაშვილმა და რამან კეკელაშვილმა ოთხ-ოთხი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს და პირველმა 2.162 მანეთი, ხოლო მეორემ — 2.240 მანეთი მიიღო.

საკარმიდამო ნაკვეთიდან

მარნეულის რაიონის მშრომელებმა გადაწყვეტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 15.860 ტონა ყურძენი. რთველის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. გუშინდელი დღის ჩათვლით სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 12.943 ტონა ყურძენი. ამ საქმეში საპატიო წვლილი შეაქვს მოსახლეობას. საკარმიდამო ვენახებში მოკრეფილი ყურძნის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიჰყიდეს.

სოფელ შაუმიანას მცხოვრებმა პენსიონერმა, არმაის როსტომ ვანიანმა სახელმწიფოს მიჰყიდა 7 ტონა ყურძენი.

ბ. დადვაძის ფოტო.

მუშაობის ხარისხი

ნინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ქრონიკა საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობისა და პატრიოტულ თაოსნობათა ამალელვებელი მოთხრობაა.

შრომითს მეტოქეობაში, რომელმაც ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი მიიღო, ბრძოლა წარმოეს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ხარისხობრივი მაჩვენებლებისთვის. ეს გასაგებიც არის: **პარტიამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მთავარ ამოცანად დაგვისახა გადავაქციოთ მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედად.** ამასთან ხარისხის თვით ცნება მიმდინარე ეტაპზე გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს და სულ უფრო ტევადი ხდება.

„მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, — გახდა მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლება. ეს შეეხება ჩვენი გეგმების ხარისხსაც, ესეც ივი მათს დასაბუთებასა და შეწონასწორებას. ეს შეეხება სამმართველოს საქმიანობის ხარისხსაც—საწარმოო აპარატის პირველადი რგოლებით დაწყებული და ცენტრალური სამეურნეო ორგანოებით დამთავრებული“.

როცა წინა პლანზე ხარისხობრივი ფაქტორების წამოწევას ვეხებით, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ეკონომიკა, როგორც პარტიის მთავარი პოლიტიკა.

ახლა ყველასათვის ნათელია, თუ როგორ მაღლდებოდა უკანასკნელ წლებში ჩვენთან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი რესპუბლიკის ეკონომიკის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად. შორს წაგვიყვანს იმ მოწინავე საწარმოთა, საზოგადოებრივ მეურნეობათა, მშენებლობათა ჩამოთვლა, რომლებიც ეძიებენ ხარისხის ამაღლების რეზერვებს და აყენებენ ხუთწლედის სამსახურში. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენს ბევრ საწარმოსა და საზოგადოებრივ მეურნეობაში ხარისხი კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამას მოწმობს, კერძოდ, შემდეგი მაგალითი: წლეულს მეორე კვარტალში რესპუბლიკაში შემოწმებული სამრეწველო საწარმოებიდან სტანდარტისა და ტექნიკური პირობების დარღვევით პროდუქციის გამოშვების ფაქტები დადგინდა 221 საწარმოში. ეს ფაქტი იმით უნდა ეიხსნას, რომ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის მოთხოვნებიდან.

უხარისხობას, წუნს მარტო საწარმოში, საზოგადოებრივ მეურნეობაში და მშენებლობაზე რიდი ვხედვით. შუშაობის დაბალი ხარისხი ზიანს აყენებს საქმეს როგორც პატარა დაწესებულებები, ისე დიდ, სოლიდურ ორგანიზაციაში, სამინისტროსა თუ უწყებაში. დაბალი ხარისხის ჩარჩომშობი მიზეზებია ირიშობანა, შემსრულებელთა ნაკლები კვალიფიკაცია, უხეირო მატერიალური მოთხოვნა, შრომის სუსტი ორგანიზაცია, საქმისადმი უსულგულო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, სასხდომო ფუსფუსი და ზოგადი დეკლარაციები, რასაც საერთო არაფერი აქვს ნამდვილ საქმესთან. რომ შეიძლებოდეს ამის ნატურალური გამოსახვა, თვალნათლივ დავინახავდით, თუ რამდენ რამეს ვკარგავთ ხოლმე უხარისხოდ მოწყობილი ყოველი კრებით, თათბირით, სხდომით და სხვა ღონისძიებებით, რომლებსაც შედეგად ზოგადი, არაფრისმთქმელი დადგენილებები მოსდევს.

უდავოა ის წარმატებანი, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა ხუთწლედის სამი უკანასკნელი წლის მანძილზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ეს შესაძლებელი გახდა იმით, რომ ამ პერიოდში მკვეთრად გაუჯობესდა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მტკიცდება დისციპლინა, შეიქმნა მაღალი მოთხოვნელობის ვითარება, გაიზარდა ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობა, უფლობელი ბრძოლა გაჩაღდა ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

თუ გვინდა შეეინარჩუნოთ პოზიციები და განვამტკიცოთ ისინი, ამის მთავარი და ერთადერთი გარანტიაა არ დავჯერდეთ მიღწეულს, მკაცრად, პრინციპულად მივუდგეთ მთელ ჩვენს მოღვაწეობას. **ხარისხი ამიერიდან უნდა იყოს უკვე გაკეთებულის შეფასების მთავარი კრიტერიუმი და მოთავალ ამოცანათა განსაზღვრის ორიენტირი.**

არამც და არამც არ უნდა შეგვაშინოს იმან, რომ მაღალ ხარისხობრივ კრიტერიუმებზე გადასვლა ზოგჯერ მოითხოვს ფსიქოლოგიური ბარიერებისა და მოძველებულ შეხედულებათა გადალახვას.

მუშაობის მაღალი ხარისხის მიღწევის აუცილებელი პირობაა ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწეობის ერთიანობის ლენინური პრინციპის განუხრელი განხორციელება, მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, სახალხო-სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აუცილებელია საქმისადმი **შემოქმედებითი** მიდგომა, რაც ახლა დამახასიათებელია ბევრი პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილისათვის. მაგალითად, იმ ბევრ კარგ ღონისძიებას, რაც უკანასკნელ წლებში განახორციელეს ქ. ქუთაისში, ემატება კიდევ ერთი სიახლე: პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ინერგება ხარისხის მართვის საქალაქო სისტემა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან პროფკავშირებსა და კომკავშირზე დაყრდნობით განავითარონ მასების ინიციატივა, გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა კადრებისადმი, მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, პროგრესულს, აღზარდონ თვითეულ მუშაკში ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობა, ეფექტურად გამოიყენონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი იარაღი. მიზანშეწონილია მუშაობის ხარისხთან დაკავშირებული ყველაზე დიდი, საკვანძო პრობლემების განხილვა პარტიულ კრებებსა და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე. ამავე პრობლემებს უნდა ესახურებოდეს მუშათა კრებები და მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ კომუნისტთა მონაწილეობა ეკონომიური ანალიზის ბიუროებსა და ხარისხის საბჭოებში.

საჭიროა ხელმძღვანელმა პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა ისწავლონ და სხვებსაც ასწავლონ წარმოების „ვიწრო ადგილებში“ ჩაწვდომისა და რეზერვების მოგნების ხერხები საწარმოო პროცესის თვითეულ რგოლში. ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგება კადრების ეკონომიური შეიარაღებისა და კვალიფიკაციის ამოცანა.

პარტიული, ლენინური სტილის დამკვიდრებასა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში დიდი როლი ეკუთვნის შესრულების კარგად დაყენებულ კონტროლსა და შეფასებას. ამოტომ ამოცანა ის არის, რომ მუდმივად სრულყოფდეთ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის პრაქტიკას პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

სავსებით ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნებს წითელ ზოლად გასდევს ბრძოლა მუშაობის მაღალი ხარისხისათვის. ანგარიშგება-არჩევნები ყოველთვის ის დიდი მოვლენა იყო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებ ის ცხოვრებაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას **იძენს ხუთწლედის ფინიშთან. როცა ყოველი დღე და საათი მხოლოდ დამკვრელური უნდა იყოს.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ახალ მოთხოვნებს უყენებს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, ყოველ კომუნისტს. მაშ ვიყოთ ამ მოთხოვნათა დონეზე, ვიმუშაოთ დაძაბული ენერგიით, მწვავედ განვიცდიდეთ მიღწეულით დაუმაყოფილებლობის გრძნობას, გვწყუროდეს მაქსიმუმის გაკეთება!

სკკპ XXV ყრილობის უსასყიდლად

ხუთწლედს — ჩვენი ენერგია, ძიება!

ცხრა თვის გეგმა — ვადამდე

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის და ვადამდე, 22 სექტემბრისათვის შეასრულეს 484.700 ტონა კომბინირებული საკვების წარმოებისა და 25 სექტემბრისათვის — 464.500 ტონა ფქვილის წარმოების ცხრა თვის გეგმა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 143.527 ათასი მანეთით, მთლიანი პროდუქციისა — 123.607 ათასი მანეთით.

სისტემის საწარმოთა კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას და ვალდებულება იკისრეს 1975 წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან ექვსი მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო შემდეგ გადასინჯეს რეზერვები და გაზარდეს იგი რვა მილიონ მანეთამდე. ამის ანგარიშში უკვე გამოშვებულია ხუთ მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. (საქინფორმი).

გრაფიკის გასწრებით

ჭიათურა. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც წლის დასაწყისიდან რიტმულად და გამართულად შრომობენ, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებები 19 სექტემბრისათვის შეასრულეს. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 3.360 ათასი ცანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კალინინის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ირუსკისის მაღაროთა სამმართველოების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ხორცისა და რძის კომბინატების კოლექტივები. ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო სასჭის აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ბიგატაშვილმა.

ეაღალ მაჩვენებლებს აღწევს ქუთაისის კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი. რვა თვეში რეალიზებულია 1.421 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 9,8 პროცენტით გაიზარდა.

გაერთიანება ახლა უშვებს 56-ზე მეტი მოდელის ექვსი დასახელების პროდუქციას. სანი სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ქუთაისელმა მკერავებმა ვალდებულება აიღეს მიმდინარე წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე, 19 დეკემბრისათვის და გამოუშვან 1.450 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სურათზე: № 1 ხაამჭროს მოწინავე მკერავი კომკავშირელი გულხუნდა ვაშაყმაძე. იგი მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

ბ. ბერსამილას ფოტო (სქინფორმის ფოტოქრონიკა).

მუშაობას მეათეს ანგარიშში

ნაყოფიერების გადიდების გზით

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმომ — თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის დავალება სამშობლოს 16 სექტემბერს უსაკაკა. თვის ბოლომდე გამოუშვებთ 2.150 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო მოიახდენთ 2.100 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაციას.

საწარმოს კოლექტივი ფართოდ გამოიხმაურა თბილისელ მეკოპეთა ბრიგადის და ბათუმელ მანქანთსამშენებლო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუჯობესებისა და ერთ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდების შესახებ. ეონიერული მუშაობის შედეგად განვლილ პერიოდში პროდუქციის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. თვითღირებულების შემცირებით მიღწეულია 48 ათასი მანეთის ეკონომია, ზეგეგმითმა მოგებამ 95 ათასი მანეთი შეადგინა, ეს რედაქციას აცნობეს ცხიმკომბინატის დირექტორმა **უ. ჭუტაიძემ**, პარტორგანიზაციის მდივანმა **ლ. წულუკიძემ**, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. ქახნიაშვილმა.**

კიდევ 800 ტონა ხილი

ჩხოროწყუს რაიონის მეურნეობებმა კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს იგი და 19 სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის კუტკოვანი და თესლოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი.

სახელმწიფოს მიეყიდა 1.715 ტონა ხილი ნაცვლად გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 1.693 ტონისა. სულ ხუთწლედის დადგენილ რაიონში დამზადებულია 6.442 ტონა ხილი — ხუთწლიან გეგმასა და დავალებაზე 200 ტონით მეტი.

რაიონის მშრომელებმა რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით დამთავრება. კიდევ 800 ტონა ხილი. (საქინფორმი).

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებულის მეორე შევსებული გამოცემა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის შესახებ“. იგი მოიცავს 1964-1975 წლების პერიოდს.

წიგნში ორმაგ ირის გაანალიზებული აქტუალური საერთაშორისო პრობლემები და შემოქმედებითად არის განვითარებული სკკპ ლენინური საგარეო პოლიტიკური კურსის კარდინალური დებულებები. მასში მკაფიოდ არის ასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები — ბრძოლა მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ძმური ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ხაზგასმულია იმ შეთანხმებული საგარეო პოლიტიკური მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც დიდ როლს ასრულებს პოზიტიურ ცვლილებებში საერთაშორისო ასპარეზზე.

ამასთანავე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული დაეხმარება კომუნისტებს და ყველა მშრომელს ღრმად შეისწავლონ ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. (საკდესი).

ამერიკელი ასტრონავტები კიევში

კიევი, 26 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტები ა. გრიგორიევი, ნ. ფელეზნოვი). მთავრდება პირველი ეტაპი, რაც ჩვენს ქვეყანაში ტარდება ამერიკელი ასტრონავტები, რომლებიც თავიანთ საბჭოთა მეგობრებთან — „სოიუზ-აპოლონის“ საერთაშორისო ეკიპაჟის წევრებთან ერთად თვისებურ საპატიო წრეს უკლიან საბჭოთა კავშირში.

კიევის გაცნობის მეორე დღე ამერიკელმა ასტრონავტებმა და საბჭოთა კოსმონავტებმა მარადიული დიდების პარკის დათვალიერებით დაიწყეს. აქ თვალწარმტაცი დნეპრისპირა ფრიალოზე აღმართულია ოცდაექვსმეტრიანი გრანიტის მონუმენტი, რომლის ძირში დაკრძალულია უცნობი ჯარისკაცის ნეშტი. კოსმოსის გმირებმა წუთიერი ღუმილით პატივი სცეს გმირს, რომლებიც დაღუპნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ყაცაბრიობის ნათელი მომავლისათვის თაშიზმთან ბრძოლებში.

„უცნობ ჯარისკაცს კოსმოსური ხომალდების „სოიუზის“ და „აპოლონის“ ეკიპაჟებისაგან“ — ასეთი წარწერაა გეირგვინზე, რომლითაც უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეამკეს კოსმოსის მამაცა დამპყრობლებმა. მათთან ერთად იყვნენ საბჭოთა კოსმონავტების მომზადების ხელმძღვანელი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. ა. შატალოვი „სოიუზ-აპოლონის“ პროგრამისათვის პასუხისმგებელი ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოში ჩ. ლი, ამავე სამმართველოს საზოგადოებრივობის ინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელი დ. დონელი.

შემდეგ სტუმრებმა გაისეირნეს ქალაქში. მან დათვალიერეს უკრაინის დედაქალაქის მშენებლობანი, იყვნენ კიევ-პეჩორის სახელმწიფო ისტორიულ-კულტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, სადაც გაეცნენ ისტორიული საგანძურისა და ხალხური და დეკორატიული ხელოვნების ექსპონატებს.

თავისებურ სამეცნიერო სიმპოზიუმად გადაიქცა შეხვედრა, რომელიც ნაშუადღევს გაიმართა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტში.

სტახანოველ ვეტერანებს — ჯილდოები

25 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში ორდენები და მედლები გადასცა ჩვენს ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის თაოსანთა ჯგუფს.

ლენინის ორდენი ოქროს მედალი „ნამგალი და უროო“ გადაეცათ ა. ხ. ბუსიგინს, მ. ვ. გნატენკოს, ი. ი. გუდოვს, პ. ი. კოკარდაკს, კ. ვ. პეტროვს, ნ. ს. სმეტანინს. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მათ მიენიჭათ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობის მოწინავე მეთოდების დასანერგად მრავალი წლის საქმიანობისათვის და სტახანოვური მოძრაობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

(საკდესი).

შრომითი გმირობა

25 სექტემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მუშაობა დაამთავრა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც სტახანოვური მოძრაობის 40 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის რეკომენდაციებისა და დასკვნების განხორციელება თვისებრივად კიდევ უფრო აამაღლებს შეჯიბრების ორგანიზაციის დონეს, წარმართავს მას კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

(საკდესი).

საუბარი სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა მიიღო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, რაინლანდ-პფალცის მხარის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრემიერ-მინისტრი გ. კოლი.

საუბარში მონაწილეობდნენ რუსეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი თ. ე. ტიტოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

იმავე დღეს სტუმარი იყო გამოფენაზე „სსრ კავშირის ალმასის ფონდი“, დათვალიერა კრემლის ტაძრები, ნაშუადღევს კი ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეას ეწვია.

(საკდესი).

მიფრინავენ „კოსმოსი-769“ „კოსმოსი-770“

1975 წლის 23 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გამეგზავნა დედამიწის ორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-769“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1975 წლის 24 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-770“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

გაანვამტკიცოთ იდეური რწმენა

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

მარქსიზმ-ლენინური განათლების სისტემაში მოახლოებული ახალი სასწავლო წელი მოითხოვს თვითეული პარტიული ორგანიზაციის გაზრდილ ყურადღებასა და განსაკუთრებულ ზრუნვას. მის ძირითად შინაარსსა და მიმართულებაზე განმსაზღვრელ გავლენას მოახდენს ის, რომ იგი ემთხვევა სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდს, ყრილობის მუშაობასა და მისი გადაწყვეტილებების პროპაგანდისა და რეალიზაციის დაწყებითს ეტაპს. XXIV ყრილობის შემდეგ პარტიის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგების შეჯამება, მასების დარაზმვა დიდი მიზნისაკენ მიმავალ ეზაზე ახალი მიჯნების მიღწევისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებული სტარტისათვის, პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეგნებისა და აქტივობის ზრდაზე კადრების პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიური განათლების გავლენის გაძლიერება — ყოველივე ამაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები.

ჩვენი რესპუბლიკისათვის პარტიის XXIV და XXV ყრილობებს შუა პერიოდი არის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სერიოზული გარდაქმნის პერიოდი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდი, რომელმაც დასაბამი მისცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მნიშვნელოვან პოზიტიურ პროცესებს.

23 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა პარტიული პროპაგანდის იდეური შინაარსისა და ქმედითობის ამაღლების, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცების, აქტუალობის, მებრძოლურობისა და მიზანდასახულობის საკითხებს.

თათბირზე მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, მეცნიერები და უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების შტატგარეშე ლექტორები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ხირაძემ.

მოხსენება და განხილეს მოხსენებანი:

მშრომელთა პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები — მოხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ბედნიერიშვილი.

პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის შედეგებთან დაკავშირებით — მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივ საკითხთა განყოფილების გამგე ნ. პიკაშაძე.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. სარიშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ბ. ბოგიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დიალექტიკური მატერიალიზმის სექტორის გამგე ს. ავალიანი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ალიფანოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი ი. ციხისაძე, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს გენერალური დირექტორი, ეკონომიკის პრობლემათა შემსწავლელი სექციის ხელმძღვანელი მ. თევზაიშვილი, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონის მდივანი ზ. ანთაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. თავდგირიძე, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაძრაძე.

მოხსენებებსა და ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ახლა პარტიულ ორგანიზაციათა მთელი პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზმორული და იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიზანია მიმდინარე წლის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა — მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“, ბევრი რამ გააკეთეს კომუნისტთა და უპარტიოთა იდეურ-თეორიული მომზადებისათვის, მასების ეკონომიური განათლებისათვის.

გაზრდილ ინტერესს ლენინური პარტიის თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესწავლისადმი მოწმობს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სკოლებში და სემინარებზე სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ მოვიდა 300 ათასამდე ახალი მსმენელი. ცხოვრებასთან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების პრაქტიკულ ამოცანებთან პარტიული და ეკონომიური განათლების კავშირის განმტკიცებას ბიჯად შეუწყო ხელი სკოლებში და სემინარებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII, XIV, XV პლენუმების გადაწყვეტილებების, პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დადგენილებისა და სხვა პარტიული დოკუმენტების შესწავლამ. ამან პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა უფრო ღრმად ჩასწვდნენ პარტიული და ეკონომიური განათლების შინაარსს, გაუჯანმრთელნა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, ამაღლონ სწავლის ეფექტიანობა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, ოთხის, რუსთავის, გორის, ტყიბულის საქალაქო, სოფლის, ცხინვალის, ლანჩხუთის, ქობულეთის რაიონული და სხვა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად განიხილავენენ მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა, მასების ეკონომიკური განათლების საკითხებს. სახალხო მაო შემოგვიმა გაუმჯობესებას კონკრეტულ ღონისძიებებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა პროპაგანდისტული კადრების შერჩევა, სწავლება და განაწილება. პარტიული პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი გადაამზადა პარტიული ეკონომიური განათლების 20 ათასზე მეტი პროპაგანდისტი, ასობით პროპაგანდისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია ბაოუმის ახალგაზრდა პროპაგანდისტთა სკოლაში ქუთაისის პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებელ სკოლაში, ასპინძის პროპაგანდისტულ სკოლასა და სხვა სკოლებში.

პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების პროპაგანდისტულ ფაკულტეტებს. შარშან სავლაკოტეტზე სწავლობდა 1600-ზე მეტი მომავალი პროპაგანდისტი.

პროპაგანდისტთა სწავლების პროცესში, დიდი ადგილი ეთმობოდა თეორიულ და მეთოდიკურ კონფერენციებს, რომლებზეც განიხილავდნენ პროპაგანდისტული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის, ხუთწლედის დამამთავრებელი წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის და სხვა საკითხებს.

გაბედულ პერიოდში ამაღლდა პროპაგანდისტთა მომზადების დონე. მათს უმრავლესობას აქვს უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 3.500-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორია, 8.510 — სახალხო მეურნეობის სპეციალისტი, 3.733 კაცი მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკია.

აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ამ მუშაობაში ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობაზე. პარტია მოგვითითებს, რომ საჭიროა სამეურნეო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანული კავშირი, მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი კადრები დღენიადაგ ფიქრობდნენ მიღებულ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა აღმზრდელობითს შედეგებზე. შარშან რესპუბლიკის პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა 6.000-ზე მეტი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი. თბილისს პარტორგანიზაციამ პროპაგანდისტთა თითქმის ნახევარი ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ხელმძღვანელი კადრების სწავლების გასაუმჯობესებლად. პარტიული აქტივის 40 რაიონული და საქალაქო სკოლაში და ხელმძღვანელი კადრების 132 სემინარზე, სიღამის უნივერსიტეტების პარტაქტივის ფაკულტეტებზე გასული სასწავლო წელს 7.600-ზე მეტი კაცი მეცადინეობდა.

პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში მეცადინეობის სამეცნიერო-მეთოდიკური დონის ამაღლებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პოლიტიკური განათლების სახლებს, კაბინეტებს და მათ მეთოდიკურ საბჭოებს. პროპაგანდისტებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პრესა, რადიო და ტელევიზია.

რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების ეფექტიანმა ღონისძიებებმა, რომლებსაც ამ ბოლო წლებში ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიულ პროპაგანდას დაუბრუნეს ყოფილი მებრძოლურობა, იმის უნარი, რომ პრინციპიული, ბოლშევიკურად გამოდგეთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გზით.

და შემთხვევითი არ არის, რომ პარტიული სწავლების, ეკონომიური განათლებისა და კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემის პოლიტსკოლებში და სემინარებზე ყველაზე მსმენელებმა გამოიცადეს ფაქტი გ. კუტახიძე ხელმძღვანელობს, იმავ ახალი ვალდებულება — გაადიდონ კოპების გამოშვება ათას ტონა სხვადასხვა ბრიგადის თვითეულ წევრზე და ამასთან ინიციატივა ფართოდ გავრცელდა რესპუბლიკაში.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ ცხოვრებასთან პოლიტიკური სწავლების კავშირის ხარისხი ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. პროპაგანდისტები ჯეროვნად ვერ ეხმარებიან მსმენელებს იმაში, რომ ღრმად გაიაზრონ პარტიის მთელ საქმიანობაში თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის მჭიდრო დიალექტიკური ურთიერთკავშირი და ერთიანობა. ეს კი იმის იწვევს, რომ მეცადინეობა ზოგჯერ ყანგაგეს შემოქმედებითი ხასიათს, მსმენელები ცოდნას იღებენ, მაგრამ ეს ცოდნა არ ხდება მათი მტკიცე მრწამსი, ხელს არ უწყობს პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, მებრძოლური თვისებების, იდეური რწმენისა და კომუნისტური შეგნების ამაღლებას. პოლიტიკურ სწავლებას ასეთი შემთხვევებში აბსტრაქტულად საგანმანათლებლო, ინფორმაციული ხასიათი ეძლევა.

მიზანს ვერ აღწევენ ვერც ის პროპაგანდისტები, რომლებსაც ეკონომიკასთან პოლიტიკური და ეკონომიური განათლების კავშირის დასაბუთებლად მოჰყავთ ცალკეული მაგალითები, ასახელებენ მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს, არ ასწავლიან მსმენელებს მოვლენებისა და ფაქტების დამოუკიდებელ ანალიზს, არ უვითარებენ იმის უნარს, რომ სწორად ფასებენ საწარმოებს, კოლექტივის საქმის ვითარებას, თავიანთი შრომის შედეგებს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. უნდა აღვნიშნოთ ასეთი უტალიტარული მედგომა მშრომელთა იდეური აღზრდის დიდი ამოცანებისადმი.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი მეცადინეობებს, ლექციებს ჯერ კიდევ ვერ იყენებს საკმარისად წარსულის მავნე გადმონაშთების, ნეგატიური მოვლენების, მეშჩანური ზეგავლენებისა და გაუწყობილებების, დისციპლინის დარღვევის, უყირათობის, დოყლაპიობის, კერძოსაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყურადღება მშრომელთა ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებისადმი, კიდევ უფრო მიზანსწრაფული, მებრძოლური და შეტევითი ხასიათი უნდა მიეცეს ბრძოლას კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დარღვევების, ეროვნული ყოყოჩობის ცალკეული გამოვლინებების წინააღმდეგ.

კარგად დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა ადამიანთა გონებასა და გულზე ზემოქმედების მძლავრი ფაქტორია. პარტიული პროპაგანდის მთავარი ამოცანა, საბოლოო მიზანი სწორედ ის არის, რომ თვითეულ ადამიანს განუკითხოს მაღალ მოქალაქეობრივი თვისებები, ჩაუნერგოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

ცოტა ხნის წინათ სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდში, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში, მეკოპიტა ბრიგადაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კუტახიძე ხელმძღვანელობს, იმავ ახალი ვალდებულება — გაადიდონ კოპების გამოშვება ათას ტონა სხვადასხვა ბრიგადის თვითეულ წევრზე და ამასთან ინიციატივა ფართოდ გავრცელდა რესპუბლიკაში.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ ცხოვრებასთან პოლიტიკური სწავლების კავშირი ხშირად ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. პროპაგანდისტები ჯეროვნად ვერ ეხმარებიან მსმენელებს იმაში, რომ ღრმად გაიაზრონ პარტიის მთელ საქმიანობაში თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის მჭიდრო დიალექტიკური ურთიერთკავშირი და ერთიანობა. ეს კი იმის იწვევს, რომ მეცადინეობა ზოგჯერ ყანგაგეს შემოქმედებითი ხასიათს, მსმენელები ცოდნას იღებენ, მაგრამ ეს ცოდნა არ ხდება მათი მტკიცე მრწამსი, ხელს არ უწყობს ნისტური შეგნების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შედეგია. ეს თვისებები კი თავისთავად არ ჩნდება. ეს იმ გულმოდგინე პოლიტიკური მუშაობის ნაყოფია, რომელსაც ჩვენი პროპაგანდისტები და აგიტატორები ეწევიან. გ. კურტანიძის ბრიგადის წევრები გ. ფერაძე, ზ. ბიბაევი, ი. კურტანიძე, გ. გოგოლაძე და ტ. ღვინიაშვილი — ის ადამიანები არიან, რომლებმაც პარტიული სწავლების სისტემის დაწყებითს კოლში, შეისწავლეს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია, პოლიტიკური და ეკონომიური ცოდნის საფუძველები. პოლიტსკოლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა დაეხმარა მათ უკეთ მუშაობაში, ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ორატორებმა თქვეს, რომ ჩვენი დღეების მშრომელთა ბევრი საფუძვლიანი წამოწყება სწორად პოლიტსკოლებში და სემინარებზე, აგიტსაბრებსა და პოლიტინფორმაციების დროს უნდა იბადებოდეს. პროპაგანდისტები აქტიურად უნდა უმეგობრნენ მხარს, ხელს უწყობდნენ ახალ შრომთა თაოსნობათა დაწერგვას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, თავიანთი წვლილი შეეტანონ წარმოების ეფექტიანობისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, სოციალისტური შეჯიბრების მაღალი ქმედითობისათვის, ნაკისრი ვალდებულებებისა და შემპვეედრი გეგმების უსოფ შესრულებისათვის ბრძოლაში.

დიდი ამოცანები, რომლებსაც პარტიული ორგანიზაცია წყვეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შთამაგონებელი მოწოდება — გადავაქციოთ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებულ და რენტაბელურ დარგად, ხუთწლედის გმირთა მამაცური შრომა — ყოველივე ეს აღფრთოვანების დაუშრეტელი წყაროა და იდეოლოგიური ფრონტის თვითეულ მებრძოლს შთაგონებს ნამდვილად შემოქმედებითად ეკიდებოდეს თავის კეთილშობილურ და საპატიო მოვალეობას — აერაცეულებდეს პარტიის სიტყვას მასებში, აღანთებდეს მშრომელთა გულს.

ახალ სასწავლო წელს პროპაგანდისტთა და მსმენელთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, აღინიშნა თათბირზე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის როლის ამაღლების საკითხები, სკკპ XXIV ყრილობის კურსის შესაბამისად კომუნისტური მშენებლობის და საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულების ხელმძღვანელობისათვის მისი საქმიანობის შედეგები, სკკპ XXV ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი.

თათბირზე ფართოდ აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, თანამედროვე მსოფლიო განვითარების საკითხები.

როგორც მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, უკანასკნელი წლების მოვლენებმა დაადასტურა, რომ სწორი და მორსმეჭვრეტელური, ქმედითი და მიზანსწრაფულია მშვიდობის პროგრამა, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კონსტრუქციული საერთაშორისო საქმიანობა. ხაზგასმით აღინიშნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრების უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, ითქვა, რომ საჭიროა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში შეისწავლონ მისი შედეგები. თათბირზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. ეს შესწავლა მჭიდროდ უნდა დაეკავშიროთ საპროგრამო თეორიულ მასალებს. მსმენელებს ღრმად უნდა გავაგებინოთ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული საფუძვლები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის სოციალისტური ბუნება, მისი კლასობრივი, ინტერნაციონალისტური და ღრმად ჰუმანისტური ხასიათი.

თათბირზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას. აღინიშნა, რომ საჭიროა ეკონომიური ცოდნის დაფუძნებაში ჩავაბათ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ახალი კონტინგენტები, ხოლო ეკონომიური სკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელებად — სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, გავშალოთ ეკონომიური მეცნიერებისა და პოლიტიკის, მართვის თეორიისა და მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შეისწავლა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საკვანძო პრობლემას — მთელი მეშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ეკონომიურ სწავლებაში ახალ სასწავლო წელს დიდი ადგილი ეთმობა შრომის ორგანიზაციასა და ეფექტიანობას ამაღლებას, წარმოების მართვის საკითხებს. ამ მიზნებს ემსახურება სპეციალური კურსები „სოციალიზმი და შრომა“, „საინჟინრო შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში“, „ხელმძღვანელის შრომა“.

თათბირზე აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად ამაღლდა სწავლების ეფექტიანობა კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში. პარტიულ ორგანიზაციათა ყოველდღიური დახმარების შედეგად გაუმჯობესდა პროპაგანდისტული კადრების შემადგენლობა, ამაღლდა მათი ცოდნის დონე. პოლიტიკური განათლების კომკავშირული ქსელის 6.576 პროპაგანდისტიდან 5.202 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატია.

კომკავშირული პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა მეცადინეობის ისეთი ფორმები, რომლებიც არის პრაქტიკული დავალებანი, დისკუსიები, დამოუკიდებელი მუშაობა პირველწყაროებზე, რეფერატების მომზადება. მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის შესწავლის დიდმნიშვნელოვანი ფორმა გახდა ლენინური ჩათვლა „განგაზრობიელოო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი“, რომელშიც მონაწილეობს 694.211 ქალიშვილი და ჭაბუკი, მათ შორის 570.616 კომკავშირელი.

არსებული მიღწევების განზოგადებასთან ერთად თათბირზე ამხილეს სერიოზული ნაკლოვანებანი ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიურ საქმიანობაში. მაგალითად, ახალციხის, ბორჯომი, თეთრი წყაროსა და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში პარტიული სწავლების საკითხებს დროდადრო თუ განიხილავენ. სუსტად ვითარდება მოთაობა „პროპაგანდისტი და ხუთწლეული“, დაბალია სწავლების ეფექტიანობა, პროპაგანდისტები თითქმის არ იყენებენ პრაქტიკულ დავალებათა ფეთოს. ზოგი მათგანი ცუდად ეხმარება მსმენელებს შემპვეედრი გეგმების სოციალისტურ ვალდებულებების შემუშავებასა და შესრულებაში.

იმის გამო, რომ არ იგრძნობა ჯეროვანი პარტიული ზრუნვა პარტიული სწავლების და ეკონომიური განათლების სისტემისათვის, მთელ რიგ სკოლებსა და სემინარებში მეცადინეობა მიმდინარეობდა დაბალ დონეზე კოლექტივების წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანათა გაუთვალისწინებლად.

ცალკეული კომუნისტები, რომლებიც იმდიკედუალური გეგმებით მეცადინეობენ, სერიოზულად არ ეკიდებიან პოლიტიკურ სწავლებას.

ნაკლოვანებანია პარტიული და ეკონომიური განათლების ქსელის დაკომპლექტებაშიც.

მაგალითად, გასულ სასწავლო წელს ასეთი ნაკლოვანებანი იყო ქალაქ თბილისის, ციხისეი რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონში.

ყველა პარტიული ორგანიზაციის სამუშაოლო ამოცანაა, თქვეს გამოსულებმა, გადაჭრით აღმოფხვრან ეს და სხვა ასეთი ნაკლოვანებანი, გაზარდონ პოლიტიკური სწავლების, როგორც პარტიული რიგების იდეური სიმტკიცის და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის როლი, კიდევ უფრო გაანეიტარონ მშრომელთა მეგნება, სოციალური და საწარმოო აქტივობა, სრულყონ ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადება. ყოველივე ამაზე, საბოლოოდ დამოკიდებულია კომუნისტური მშენებლობის, სკკპ პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მთელი საქმის ორგანიზაცია.

ახალი სასწავლო წელი უნდა გახდეს პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, დაეხმაროს საბჭოთა ადამიანს შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის მობილიზაციას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და მისი გადაწყვეტილებების და მეათე ხუთწლედის დავალებების წარმატებით განხორციელებისათვის, ხელი შეუწყოს ადამიანთა სულიერ ზრდას, გულგრილობისა და ამოლიტიკურობის სრულ დაძლევას.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. ვ. ხირაძემ.

თათბირზე მიღებულ რეკომენდაციები პარტიული სწავლების, კომკავშირული პოლიტიკური განათლების, მასობრივი ეკონომიური განათლების სისტემის მუშაობის იდეური შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის. (საქინფორმი).



თბილისის ლენინის რაიონში აქტიურად ემზადებიან მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის.

ახალ სასწავლო წელს რაიონში პარტიული განათლების ქსელში ჩაებმება 40 ათასი მსმენელი — შარშანდელთან შედარებით 5 ათასით მეტი.

სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიონი სისტემატურად აწყობს კონსულტაციებს, სემინარებს, პროპაგანდისტთა შეკრებებს. სურათზე: პარტიის თბილისის ლენინის რაიონის პარტკაბინეტში მიმდინარეობს მორიგი სემინარი, წინა პლანზე (მარცხნიდან): კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის უფროსი ინჟინერი შ. მაისურაძე, მე-3 საშუალო სკოლის სახელოვანი მაწილის გამგე ე. ერმინა და პარტკაბინეტის გამგე ხ. სურგულაძე. (საქინფორმი).

საპჭოთა კავშირის, აგრეთვე საზღვარგარეთის 30 ქვეყნის ბევრ სამრეწველო საწარმოში იგზავნება თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის პროდუქცია.

საწარმოს კოლექტივი წარმატებით იბრძვის აგრეგატების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ახლახან ვდ-502 შესადუღ აპარატს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ახლა საწარმო 3 აგრეგატს უშვებს საპატიო ბუოკუთხედით.

სურათზე: ელექტროინჟინერული საამქროს უფროსი კ. ბარქაია და ელექტრომონტაჟე ზეინკალი გ. ტერ-ოგანეზოვი შესადუღ გამმართველს ამოწმებენ საცდელ სტენდზე.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოლხეთი სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი რეზერვია

ხობი, 26 სექტემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ. ო. კვეტლიშვილი). სუტაბრიფეული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ კლუბში გაიმართა ეკონომიების დამლობის ჭარბეულიანი მიწების დამრობისა და ათვისების პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-საწარმოო სესიის პირველი პლენარული სხდომა. სესია მოაწყეს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, ამ აკადემიის ამერკავკასიის განყოფილებამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

სესიაზე მოწვეული იყვნენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, მინისტრები, ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, საპრაქტიკო ინსტიტუტების სპეციალისტები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ნ. ვეკუა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე.

— თანამედროვე პირობებში, — თქვა შესავალ სიტყვაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა პ. პ. ლობანოვმა, — როცა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ახალი რეზერვების გამოძებნის საკითხებს, მეცნიერებისა და წარმოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნიწის მოფრთხილებისა და რაციონალური გამოყენების პრობლემა, ახალი მიწების მოქცევა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება. ამ ამოცანათა შესაბამისად კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების დაშრობისა და ათვისების პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მაგრამ ამ საქმეში დღესდღეობით ცოტა რამ არის გაკეთებული. ჩანს, რომ კოლხეთის მიწების შემდგომი ათვისების ღონისძიებათა კომპლექსს საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევები მელიორაციის, მიწათმოქმედების, აგროქიმიის, ზოოტექნიკისა და მექანიზაციის დარგში. ეუბეკითა, რომ ჩვენი საქმის პლენარულ სხდომებსა და სექციებზე აზრთა ძირითადი გაზიარების შედეგად შეუშავდება წინადადებანი და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს კოლხეთის ათვისების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ჩვენგან მოელიან ეიდევ უფრო სრულყოფილ პროექტებსა და რეკომენდაციებს, და ჩვენი მოვალეობაა მთლიანად გავამართლოთ მათი იმედი.

სესიაზე მოისმინეს მოხსენებანი კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების აქტუალურ თემებზე. კერძოდ, გამოიკვლევენ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. გ. შტეპი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ვ. გეგეშავა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ბ. ლომეია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ბ. სკოროპანოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. კ. დარასელია, ჩასუა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. დ. ფანტავა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ც. ვ. მირცხულავა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი პ. მ. ჟღენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. ვ. მოწერელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. თ.

26 სექტემბერი

ნორმალიზაციის გზით

ლისაბონი. (საკადესი). რესპუბლიკის პრეზიდენტი ეანეტ გომეშ და პორტუგალიის მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა ნორმალური გახადონ მდგომარეობა და მოაწესრიგონ პრობლემები, რომელთა გადაჭრა დაყოვნდა მძიმე პოლიტიკური კრიზისის გამო.

გუშინ საღამოს ეანეტ გომეშს თავმჯდომარეობით გაიმართა დეკოლონიზაციის საკითხთა ეროვნული კომისიის სხდომა. განიხილეს ტიმორის სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობა. როგორც ნათქვამია პრეზიდენტის კანცელარიის ოფიციალურ კომუნიკეში, კომისიამ დაასკვნა, რომ ტიმორის პრობლემები შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ პოლიტიკური გზით, კუნძულის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან მოლაპარაკების გზით, მაგრამ ყოველი ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ტიმორელი ხალხის ინტერესებს.

კანონის ძალა მიენიჭა წინა მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებს, კერძოდ, ორი დიდი საქციო საზოგადოების ნაციონალიზაციის დეკრეტებს, რომლებიც კაპიტალურ დაბანდებათა საკითხებს ეანგაგებდნენ ვაჭრობაში, მრეწველობაში და ტრანსპორტზე.



ამერიკელ უმუშევართა რვამილიონიანი არმიის მეტი წილი კვლავინდებურად ამაოდ ეძებს სამუშაოს. ბევრი მათგანისათვის „სამუშაო ადგილად“ დიდი ხანია შრომის ბირჟა იქცა.

ნიუ-იორკის შრომის ბირჟაზე (სურათზე) ადამიანთა გრძელ ნაკადში, ბევრი სკოლა ან კოლეჯდამთავრებული ახალგაზრდაა. სტატისტიკით ყოველ მეხუთე ქალიშვილს ან ჰაბუს სამუშაო არა აქვს. განსაკუთრებით დიდია უმუშევრობა ზანგ ახალგაზრდობაში — 41,1 პროცენტი.

საკადესის ფოტო.

გაანათლებენ კაპიტალის ქვეყნებში

ინგლისის სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ინგლისის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია, და ამის საკმაო საფუძველი არსებობს.

„ყოველივე მეტისმეტად პირქუშად გამოიყურება“, — განაცხადა ამ დღეებში ინგლისის მასწავლებელთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ფრედ ჯარვისმა. იგი სულაც არ აზვიადებს: ათასობით ინგლისელი მასწავლებელი უკვე გაფრთხილებულია, რომ მომდინარე წელს მათი სამსახური საჭირო არ არის. პედაგოგიური კოლეჯების 1975 წლის გამოშვების მხოლოდ 46-მა პროცენტმა მიიღო სამუშაოზე მიწვევა; ხოლო მასწავლებლის დიპლომის ცხრა ათასსა მეტი „მედიცინრი“ მფლობელი შრომის ბირჟის კარებს ატალახებს. ახალგაზრდა სპეციალისტებმა ადგილის შოვნის ყველა იმედი, ჩაკარგეს და მზად არიან ნებისმიერ სამუშაოს მოკიდონ ხელი, მაგრამ ესეც იოლი როდია, რადგან ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი სულ უფრო იზრდება და უკვე მილიონნახევარს მიაღწია.

უმუშევართა არმია საშუალო სკოლადამთავრებულებითაც იკვნება. ყოფილი მოსწავლეების დიდ უმრავლესობას უსაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალება არა აქვს და იძულებულია სამუშაო ეძებოს. „მოსწავლეები, რომლებიც სკოლას ულიულს ამთავრებენ, ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე უსიხარულო პერსპექტივებს „წაყწყდნიან“, — ნაღვლიანად წერდა გასული სასწავლო წლის დამთავრებამდე ბანერი „სანდი ტაიმსი“. მათი რეკორდული რაოდენობა იძულებული იქნება 'სკოლის ბერხლიანი უმუშევართათვის ღასმარების რიგში ჩადგეს. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით ბრიტანეთის „ზედმეტი ადამიანების“ 20 პროცენტზე მეტი 25 წლამდე ახალგაზრდები შადგენენ.

ვითარება ინგლისის განათლების სისტემაში, როგორც ადგილობრივი გაზეთები წერენ, პარადოქსალურია. ქვეყანა განიცდის მასწავლებელთა კადრების მწვავე დეფიციტს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში აუცილებელია 50 ათასი მასწავლებელი, რათა სასკოლო განათლების საქმე მოწესრიგდეს, ხოლო მეორე მხრივ სამუშაოდან ათასობით მასწავლებელს ითხოვენ. ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა 1981 წლისათვის მასწავლებელთა კადრები 15 ათასამდე შეკვეცოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ წლეულს პედაგოგიურ კოლეჯებში მასწავლებელთა რიცხვი შეამცირეს.

ინგლისის სასკოლო განათლების პრობლემა ამით არ შემოიფარგლება. მკვეთრად მცირდება განათლებისათვის საჭირო ასიგნებანი. ქვეყანაში არა მარტო არ აშენებენ ახალ სასკოლო შენობებს, არამედ ძველი, დაკეტნის დროინდელ სკოლებსაც კი არ არემონტებენ. მრავალი მათგანი კარგახანია ავარიულ მდგომარეობაშია. მშობლები და მასწავლებლები შიშით შეჰყურებენ ხის დამპალ ჭერსა და მორყეულ კიბეებს.

ფასების ზრდის გამო სკოლებს არ ჰყოფნით ყველაზე აუცილებელი ხელსაწყოები, სახელმძღვანელები, რვეულები, თვალსაჩინოების საშუალებები. კლასები ჯადატვირთულია. ხშირად მოსწავლეთა რაოდენობა კლასში ნორმაზე ორ-სამჯერ მეტია.

ზოგიერთი ბაზეთის ფურცლებზე სამწუხარო კარიკატურები ჯაჯნდა. ერთ-ერთ ასეთი ბანერი ეკითხებოდა: „ეს ინფორმაციაა ბრიტანეთის ეროვნული ეკონომიკისა“ —

იალქნები სოხუმის ყურეში

სოხუმში გაიხსნა პოლონეთის აფრებიანი ნავების გამოფენა

სოხუმს ისედაც თავისებურად ეცალა საზაპარო კიდევ უფრო დაამშვენა ნავიგაციის ჩრდილოეთელებმა. რეკლამებმა ახალ ნაფოსტალგიასთან კი ჩამწკრივებრივ სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციის იალქნიანი და მოტორიანი ნავები — აქ პოლონეთის ხალიანური ნავიგის გამოფენა.

ცნობილია, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდად არის განვითარებული მცირე ტონაჟიანობა. ეროვნეობის ეს ფანი ამდენ ნიმენია ხანგრძლივ, ისევანისა თითონ სახალხო პოლონეთი. აქ ფიზიკურად სპორტული ცხოვრის მოყვარეთა ბევრ ქვეყანაში შეხვდებით.

პოლონეთში ძალიან ეყოფათ საფულესნო სპორტი. ალბ ეზაზოლოგიდან ვვიან შემოდგომამდი ზღინარებზე. ტბებსა და წყალსაცავებში ათეული ათასობით ჯოხისტი და საფულესნო ოფიციალობის მოყვარეობა ასპარეზობს ზარშავაში. ადანსკში. შეიდინსა და ბიგი სხვა ქალაქში არის იალქნიანი ნავების სპეციალური სადგომები. აქ ამზადებენ სპორტსმენებს საფულესნო სპორტის სხვადასხვა სახეობებში. იწყობა რეგატები. შორეული ჯერისაფული რეისები და ეიმკურსიები. სწორედ ამიტომაც არის, რომ პოლონელი სპორტსმენები ყოველთვის დიდ წარმატებებს აღწევენ საფულესნო სპორტის მრავალ სახეობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლონელ სპორტსმენთა წარმატება ხალოვანი ეფსპედიციებში. ასე, მაგალითად, ლეონიდ ტალიზამ (1967-68 წ. წ.). ხოლო შემდეგ კუიშაოფ ბარანოვსკიმ (1972-73 წ. წ.) ერთადგილიანი იახტებით იმოგზაურეს დედამიწის გარშემო. მთელს მსოფლიოში ეხმაურდა, რომ პოლონური იახტების — „პოლონეზის", „ეუროსის" და „კონსტანტინ მაციეევიჩის" ეკიპაჟებმა 1973 წლის თებერვალ-მარტში ვადალაპის მრისხანე ჯონის კონცხი ზამდინარი წლის აპრილში. კი, როცა სახალხო პოლონეთი 30-ე წლისთავს ზეიმობდა. იახტებმა „კოპერნიკუსმა" და „ოტაგომ" დაამთავრეს მოგზაურობა მსოფლიოს გარშემოც კვლავ ჯონის კონცხის გავლით.

ყველა ეს მიღწევა სპორტსმენთა მამაკაცობასთან და ოსტატობასთან ერთად მიტყვალებს პოლონური იალქნიანი ნაობის გამძლეობასა და მაღალ ტექნიკურ თვისებებში.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" სპ. კორ.

სურათზე: პოლონური იახტების გამოფენა სოხუმში.
მ. ტარასოვის ფოტო.

კარგი საჩუქარი

ბოხატაური, 26 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). რაიონის ეკონომიკის მოყვარულებმა ნინებული საჩუქარი მიიღეს. რეკონსტრუქციის შემდეგ კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი.

მისი გახსნის დღეს გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე, რომელიც მოაწყო ოსტატობის კანდიდატმა ჭადრაკში, ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილემ გურამ მაკვავარიანმა.

□

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 9

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეცხრე ნომერი.

რაც თვალს არ გამოეპარა

□

მივხედოთ ვერეს!

მიკროკლიმატზე ზეაღლატეებმა და მდინარეების დადებითი გავლენა უდავოა, მაგრამ მდინარეც არის და მდინარეც. რა კლიმატი უნდა შექმნას მდინარემ, რომელსაც კანალიზაციის რამდენიმე მაგისტრალი უერთდება, ხოლო მის ნაპირებზე ანტესანიტარია სუფევს.

წლეულს სიქტემბერში საქართველოს სსრ მიწიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის ბოტანიკოსებმა თბილისში შეკრიბეს მდინარე ვერეს ხეობის სამკურნალო ფლორა. საოგდეროდ, ხეობის მონაკვეთი ზოოპარკიდან უნივერსიტეტამდე. ახალ კორპუსამდე ცხვირზეხელფარებულებმა ავიარეთ, რათა არ გვესინთქა ნაგვის, მძორისა და კანალიზაციის სიბინძურის სუნი. ცხვირი კი აღვილად ავარიდეთ სიბინძურეს, მაგრამ თვალებზე ხელი ვერ ავიფარეთ და ენახეთ ის, რისი თვალის არიდებაც, ჩემი აზრით, დანაშაული იქნებოდა.

უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მახლობლად დაახლოებით 150-200 მეტრ მანძილზე შენობა-რეობს ნაგვის დასაყრელი ადგილი (რა თქმა უნდა, არაოფიციალური). სადაც აუარებელი ნაგავია. მდინარის მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით ეიაის პარკის გასწვრივ მდებარეობს თბილისის რესტორნების ტრაესტის მეღორეობის ფერმა. ფერმის ტერიტორია და მისი მიდამოები სიბინძურით არის სავსე. ხიობის სამკურნალო ფლორის შესწავლისასს ფერმის მახლობლად საცვების ნარჩენები, მკედარი ღორები და სხვა სიბინძურე ეყარა. ირიოდა აორებული ბოზი. რაც, რა თქმა უნდა, ფერმასთან ახლომეზობლად მოსახლეობასაც აწუხებს. ანალოგიური მდგომარეობაშია ვაკე-საბურთალოს გზის მახლობლად მდებარე სოსისის ქარხნის მიდამოები. სანაგვეო არის ადგილი ოთხფილი ხილიანის (ამჟამად ზიქოანის) ქუჩის დასასრული. საინტერესოა, თუ შეუმოუმბიანთ როდისმე სათანადო ორგანიზაციებს, აქვთ თუ არა ხელშეკროლება ბათორმეტილი ნაგვის გარანტია. მდინარე ვერეს ხეობაში მ ახლოვრე მოსახლეობას ან ზამოხსენებულ ფერმასა და ქარხანას

რა თქმა უნდა. დიდქალაქში ელემენტარული სანიტარული წესების დაცვა და სისუფთავისთვის ზრუნვა ყველა მოქალაქის ვალია, მაგრამ როგორც ჩანს, მარტო ეს არ შეელის საქმეს. საჭიროა ამ საკითხს მიდამოები სიბინძურიანთ მოიკიდონ ის დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად ამ დარგს ემსახურებიან.

ნ. იოსებიძე.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ბესლი

ფელეტონი

ახლა ჩვენში საბავშვო ენციკლოპედიიდან ბავშვებმაც კი იციან, რომ ადამიანები დედამიწაზე თითქმის ყველგან ცხოვრობენ: ტროპიკულ ტყეებში, ტუნდრებში, მთებსა და მაღალ ზეგნებზე, უდაბნოს ოაზისებსა და ტაიგაში, ფიჯებსა და მეტიკე კუნძულებზე. ცხოვრობენ ადამიანები დედამიწაზე და ყველას თავისი ენა აქვს. მეკნერები დაახლოებით 2.500-ზე მეტ სამეტყველო ენას თვლიან, ხოლო დიალექტები და კილოები კი ათეულ ათასობით არის. საქართველოში, სადაც ბუნებრივი ზონებისა და სარტყელების ნიადაგების შორის სამნირეთია სეზონის ფენომენიც, ჩრდილოეთით — ყვითელმიწა. აღმოსავლეთით — ყომრალი, კოლხეთში — ჭაობიანი ადგილები, ადამიანები ერთ საერთო ქართულ ენაზე საუბრობენ, მაგრამ სხვადასხვა კუთხეში — დიალექტებსა და კილოებზე.

ყოველივე ეს საეხებით გასაგებია, მაგრამ რა დიალექტსა თუ კილოზე მეტყველებს ზესტაფონის რაიონის სოფელ კოდეეთის მცხოვრებთა ერთი, საკმაოდ მცირე, მაგრამ გულდაჯერებლობით ჯგუფი, დღემდე ეს საკვანძო კვლევის საკანი არ გამხდარა და ამდენად პრიორიტეტი ამ ფელეტონის ავტორს ეკუთვნის.

„დასაკვეთ საქართველოს ფაუნის ტიპობრივი წარმომადგენლობა — ვეითუსულობთ ამავე საბავშვო ენციკლოპედიის პირველ ტომში. — ზვიერი, ტახი, ალბეზეთისა და აბარის ზღარბები, კოლხეთის ხოსობი, წითელი ბეღელი და სხვ.". ენციკლოპედიაში ნახსენები არ არის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სოფელ კლდეეთში ბესლიანი, მოსისინი ადამიანებიც არიან.

დავიწყოთ თავიდან...

ამ კოლმეურნეობაში წლების მანძილზე ჩაშლილი იყო შრომის ორგანიზაცია, ირღვეოდა მიწათსარგებლობის წესები. ოფი ცხოვრების ბუნთ გამდიდრებას მიჩვეული ზოგიერთი ადამიანი ამდენრეულ წყალში ფეხის დაუსველობლად იჭირდა ალმასს. პატიოსან მშრომელებს უკვე აღარ შეიძლოთ მოოთმინათ ასეთი ვითარება, ხმა აიმაღლეს ეაონობის წინააღმდეგ. მართლაც, 1973 წლის იანვარში პარტიის ზესტაფონის რაიკომის ბიუროს მკაცრად, მაგრამ სამართლიანად იმსჯელა კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე, სამუშაოდან მოიხსნენ კოლმეურნეობის გაიკომის თავმჯდომარე ბ. ბარაბაძე, მთავარი ბუღალტერი ჯ. ბუბაძე, ეკონომისტი ჯ. შარმანაშვილი და სხვები. კოლმეურნეობამა თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს ა. ჭანკოტაძე, რომელიც ადრე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

და აი, აქედან დაიწყო ფილაფერი... ახალმა თავმჯდომარემ მაკიაჟად მოჰკიდა ხელი მეურნეობის ხელმძღვანელობას. ბამოიყო კომისიები მიწათსარგებლობის წესების დარღვევების აღსაკვეთად. ათამდი კაცარი დაგანაგებული მიწები კოლმეურნეობას დაუბრუნდა. გადახალისდა ფერმების მუშაკთა შემადგენლობა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მოანგარიშე ნ. მესხიშვილი და მოლარე დ. ქავთარაძე, რომლებიც ცდილობდნენ თავისუფლად ეფათურებინათ ხელი საკოლმეურნეო დოვლათში. ბიჯრმა პატიოსანმა კოლმეურნემ იბრუნა პირი საზოგადოებრივი მეურნეობისაკენ. და აი, შედეგიც: თუ 1972 წლისათვის საკოლმეურნეო შრომაში ხოფლის სამასამდე მცხოვრები მონაწილეობდა, ახლა მათი რიცხვი უკვე ხუთასამდე გაიზარდა. 1972 წელს მთლიანად წარმოებული იყო მხოლოდ 290 ცენტნერი რძე, ხოლო წლეულს კი, მარტო რვა თვეში — 625 ცენტნერი. ამავე პერიოდში ყურძნის წარმოება 125 ტონიდან 280 ტონამდე გაიზარდა. თუ სიმინდს 325 ცენტნერს აწარმოებდნენ, 1975 წელს მიღებულია 375 ცენტნერი. ერთიორად გადიდდა შრომის ანაზღაურება. კოლმეურნეობის მოლიანი შემოსავალი 1972 წლისათვის 85 ათას მანეთს შეადგენდა, შარშან კი ეს ციფრი 197 ათასამდე გაიზარდა. წლევანდელი წლის ყველა მონაცემი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ხუთწლეულის დამთავრებული წლისათვის კოლმეურნეობა 250 ათას მანეთს მიიღებს.

ეს ციფრები და ფაქტები, რომელიც ახარეს კოლმეურნეთა გულებს, მაგრამ...

— სისხლს გაგიშრობთ, სიფიცხლეს გაგიმწარებთ, მიწასთან გაგასწორებთ, მაცალეთ, გიჩვენებთ სეირს — ასისინისა ვენერა მიხეილის ასული კვინიკაძე, როცა მიტაცებული მიწა ჩამოატარეს. იგი არც დაფიქრებულა, მაგიდას მიუჯდა და დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი გამოაცხო: „ქვეყანა იქცევა, შეგვეპარეს და დაგეაქციეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა, დროზე მოგვეშველეთ, თორემ მერე გვიანდა იქნება". გამოაცხო ეს წერილი თუ არა, თავის შენათითხნს თავმომწონედ გადახედა და პარტიის რაიონულ კომიტეტში აფრინა.

რასკვირველია, გამოიყო კომისია, შემოწმდა ფაქტები... არა და არა, რა მოასვენებს ვენერას, დანაქადი თუ არ შეასრულა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მინისტრთა საბჭო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კონტროლი, პროკურატურა, ერთი სიტყვით, არ დარჩენილა ხელმძღვანელი ინსტანცია, სადაც ცილისმწამებლური მონაბმახი არ გაეგზავნოს.

— უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, — გულახდილად და თან დანანებით თქვა ჩვენთან საუბარში კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ა. ჭანკოტაძემ, — კოლმეურნეობაში ოცდათამდე სხვადასხვა კომისია მოვიდა, მათ შორის ქ. თბილისიდან — ხუთი ჯგუფი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მართლაც პირდაპირ სისხლი გაგვიშრო ახსნა-განმარტებითი ბარათების წერამ, ცნობების შეგროვებამ, ძირითადი სამუშაოდან ცდება ათობით ადამიანი, ფუჭად იხარჯება ძვირფასი დრო.

ჩვენ დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ მარტო პარტიის რაიონულ კომიტეტში, რაისაბჭოს აღმასკომსა და პროკურატურაში ვ. კვინიკაძის საჩივრებზე ხუთამდე მოზრდილი ტომი შედგენილი. ვ. კვინიკაძე კი წერს და წერს, სისინებს, შბამს აფრქვევს.

...ახლა თვით ვენერა კვინიკაძის პიროვნების შესახებ. ჩვენს ხელთ არის ამონაწერი კოლმეურნეობის რწმუნებულთა 1972 წლის 25 ოქტომბრის კრების ოქმიდან, სადაც მავით თეთრზე კითხულობთ: „მომსხენებელმა კრების მონაწილეებს გააცნო ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ გამოგზავნილი წარდგინება იმის შესახებ, რომ ვ. კვინიკაძე შემჩნეულია სპეკულაციასა და მეგახშობაში, მომსხენებელმა დაგვმო ვ. კვინიკაძის მოქმედება და გაკიცრიტიკა იგი, თუ კვლავ იქნება მსგავს საქმეში შემჩნეული, მის მიმართ გატარდება უფრო მკაცრი ღონისძიება. აზრი გამოთქვეს ბ. ახრაბაძემ, ვ. ციპანაძემ, ვ. ნიკაბაძემ".

კრებამ იგი მკაცრად გაკიცრიტიკა, მაგრამ ვენერა თავისას არ იშლის. ხაინგარეშოა ის ფაქტიც, რომ კოლმეურნეობასთან მას ფაქტიურად გაწყვეტილი აქვს ყოველგვარი კავშირი, შუშაობს რა სამკერვალო ფაბრიკაში, ფიქტიურად იწერს აბრეშუმის ბამოკვეთებისათვის გამომუშავებულ კაცდღეებს. მეფილი პარიკმახერია და ზესტაფონში მუშაობს, ხოლო შვილი ნოდარი რამდენიმე თვეა უსაქმოდ დაეხეტება.

წლეულს 19 სექტემბერს კვლავ მოიწვიეს კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრება. რომელსაც რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო სარეეზენი სამმართველოს უფროსი ეკონომისტ-ბუღალტერი თ. ღვინიაშვილი და კოლმეურნეობიდან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი ეკონომისტ-ბუღალტერი გ. ნიკოლაძეც დაესწრნ. კრებას მოხსენდა ვ. კვინიკაძის მრიგი საჩივრის შემოწმების შედეგები. კოლმეურნეობამ ა. დულგაძემ, ზ. ლოლაძემ, დ. ბერაძემ და სხვებმა მაცერად დაგმეს ვ. კვინიკაძის მოქმედება, კრების მონაწილეთაგან არცერთი არ აღმოჩნდა, ოდნავი თანაგრძნობის სიტყვა რა, სიტყვა რომ მაინც ეთქვათ მის შესახებ. პირიქით — ერთხელ კიდევ პირში მიახალეს, რომ იგი სპეკულანტი და მეგახშეა. ცილისმწამებელი და უქნარაა, მაგრამ გამოვა კი აქედან რაიმე?..

ჩვენს ხელთ არის აგრეთვე სხვა ანონიმური წერილები, რომელთა ავტორები გისოს ანონიმეენ პატიოსანი მშრომელების მიმართ. ეს წერილები, ზოგი მეტრით არის სავსე, ზოგი ორი-ვერი ლანდეა-გინებით. მათი გამოტანა სირცხვილად მიგვაჩნია. ისინი ეგზავნებათ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, მიესო